# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკონკურსო კომისიის სხდომის

# ო ქ მ ი №2

ქ. ბათუმი 19 ივნისი 2013 წ.

**სხდომას უძღვებოდა:** კომისიის თავმჯდომარე - რამაზ ბოლქვაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ნუგზარ ძნელაძე.

კომისიის მდივანი - მირიან მეტრეველი.

კომისიის წევრები: არჩილ სირაბიძე, გელა ცინცაძე, ზურაბ ჭურკვეიძე, ნუგზარ ცინცაძე, სულხან მამუჭაძე.

**დღის წესრიგი:** ხულოს მუნიციპალიტეტში, ზედა ვაშლოვანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის წინასაპროექტო გეოდეზიური და გეოლოგიური კვლევის სამუშაოების დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული **№ 826 კონკურსის შედეგების განხილვა.**

**მოისმინეს:** ნუგზარ ძნელაძემ საკონკურსო კომისიის წევრებს მოახსენა, რომ საკონკურსო წინადადება წარმოადგინა მხოლოდ ერთმა კონკურსანტმა – შპს „TUSKI GEOLOGY GROUP"-მა.

შპს „TUSKI GEOLOGY GROUP"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წონადადება შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან:

1. კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
2. საკონკურსო წინადადების ფასი და რეკვიზიტები.
3. ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ.
4. გამოცდილების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.
5. თანხმობა ტექნიკურ დავალებაზე.

საკონკურსო კომისიის წევრებმა დეტალურად განიხილეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. აღინიშნა, რომ შპს „TUSKI GEOLOGY GROUP"-ის მიერ წარმოდგენილი გამოცდილების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი სრულყოფილად, რის გამოც მიზანშეწონილია კონკურსანტმა წარმოადგინოს დაზუსტებული დოკუმენტაცია საკონკურსო განცხადების მე-16 პუნქტის „გ" პუნქტის მიხედვით.

**ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ**: 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2013 წლის 14 ივნისს ხულოს მუნიციპალიტეტში, ზედა ვაშლოვანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის წინასაპროექტო გეოდეზიური და გეოლოგიური კვლევის სამუშაოების დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ **№ 826** კონკურსში მიზანშეწონილია „TUSKI GEOLOGY GROUP"-მა დააზუსტოს და წარმოადგინოს დოკუმენტაცია საკონკურსო განცხადების მე-16 პუნქტის „გ" პუნქტის მიხედვით, რისთვისაც განესაზღვროს ვადა არაუგვიანეს 2013 წლის 21 ივნისისა.

2. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს კონკურსანტს.

3. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი და თანდართული დოკუმენტები გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: ____________ /რ. ბოლქვაძე/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ____________ /ნ. ძნელაძე/

კომისიის მდივანი: ____________ /მ. მეტრეველი/

კომისიის წევრები: ____________ /ა. სირაბიძე/

____________ /გ. ცინცაძე/

____________ /ზ. ჭურკვეიძე/

____________ /ნ. ცინცაძე/

____________ /ს. მამუჭაძე/

# ხელწერილი

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკონკურსო კომისიის წევრთა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2013 წლის 14 ივნისს გამოცხადებულ №826 კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

| | | |
|---|---|---|
| კომისიის თავმჯდომარე: | _____________ | /რ. ბოლქვაძე/ |
| კომისიის თავმჯდომარის მოადგილე : | _____________ | /ნ. მნელაძე/ |
| კომისიის მდივანი: | _____________ | /მ. მეტრეველი/ |
| კომისიის წევრები: | _____________ | /ა. სირაბიძე/ |
| | _____________ | /გ. ცინცაძე/ |
| | _____________ | /ზ. ჭურკვეიძე/ |
| | _____________ | /ნ. ცინცაძე/ |
| | _____________ | /ს. მამუჭძე/ |

19 ივნისი 2013 წელი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

2920-01-10-2-201306191455

N 01-10/2920
19/06/2013

შპს „TUSKI GEOLOGY GROUP"-ის
დირექტორს დავით ტუსკიას

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკონკურსო კომისიამ განიხილა სამინისტროს მიერ 2013 წლის 14 ივნისს კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ № 826 კონკურსში თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

გთხოვთ დააზუსტოთ და წარმოადგინოთ დოკუმენტაცია საკონკურსო განცხადების მე-16 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის მიხედვით არაუგვიანეს 2013 წლის 21 ივნისისა.

რამაზ ბოლქვაძე

მინისტრის მოადგილე

.